ხაშურის მოამბე

№23 (204) 10 ივნისი, ორშაბათი, 2019 წელი

მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა

4 ივნისს, ადმინისტრაციული სახლის სხდომათა დარბაზში, გაიმართა მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა.

სხდომაზე, საკრებულოს წევრებმა, გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე, ცვლილებები შეიტანეს საკრებულოს ადრემიღებულ რამდენიმე დადგენილებასა და განკარგულებაში.

საკრებულოს წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი ხაშურში, ახალშენის დასახლებაში, ქუჩისთვის, 1993 წელს, აფხაზეთში საბრძოლო მოქმედებების დროს დაღუპული მებრძოლის უშანგი ბირკაძის სახელის მინიჭებას. ასევე, თანხმობა მისცეს სურამის I საჯარო სკოლის ინიციატივას, რომ ამ სკოლას მიენიჭოს მიხეილ მურვანიშვილის სახელი.

სხდომის დასასრულს, საკრებულოს წევრებმა მოისმინეს მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების ხელმძღვანელის თათია ბროლიძის ანგარიში აღნიშნული სამსახურის მიერ, 2019 წლის 5 თვეში, გატარებული ღონისძიებებისა და გაწეული საქმიანობის შესახებ, რომელიც შეფასდა დადებითად.

სოფელ ქვიშხეთში, დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმის რეაბილიტაცია დასასრულს უახლოვდება

შენობა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსს ატარებს, ამიტომ პროექტი სტანდარტების სრული დაცვით ხორციელდება. სამუშაოების მიმდინარეობას ადგილზე აკვირდებოდნენ ხაშ-

ურის მუნიციპალიტეტის მერი გიორგი გურასპაშვილი, მერის მოადგილე ზურაბ როსებაშვილი და ინფრასტრუქტურის განყოფილების უფროსი გიორგი პაპიაშვილი.

მათი განმარტებით, სახლ-მუზეუმის რეაბილიტაცია ადგილობრივი ბიუჯეტისა და რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის თანადაფინანსებით ხორციელდება და მილიონამდე ლარს ითვლის.

სახლ-მუზეუმის რეაბილიტაცია მნიშვნელოვანია როგორც კულტურული მემკვიდრეობის დაცვის თვალსაზრისით, ასევე ტურიზმის განვითარების მხრივაც. რეაბილიტაციის პროექტი, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტომ, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან ერთად შეიმუშავა, ამიტომ ყველა დეტალი ზედმიწევნით არის გათვლილი.

ქართველი საზოგადო მოღვაწის, პუბლიცისტის, ლიტერატორის და მთარგმნელის დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმი ზაფხულის ბოლოსთვის შეძლებს დამთვალიერებელს უმასპინძლოს.

- ვუბრუნდებით დაბეჭდილს -

პროვინციალიზმის "ვლასიკა", რომელსაც თინეიჯერულად ქაჯობა ჰქვია

მოდით, ჯერ პროვინციალიზმით დავიწყოთ. ამ ტერმინის ლიტერატურული განმარტება ასეთია: პროვინციალიზმი ანუ დიალექტიზმი არის სიტყვა ან გამონათქვამი, რომელსაც რომელიმე კონკრეტულ კუთხეში ან რეგიონში იყენებენ და ქვეყნის დანარჩენ მცხოვრებთათვის გაუგებარი, ან უცხოა. პროვინციალიზმი აბინძურებს სალაპარაკო და ლიტერატურულ ენას და მხატვრული სიტყვის ნამდვილი ოსტატები მას მცირე დოზით მიმართავენ, ისიც რომელიმე კონკრეტული ლიტერატურული პერსონაჟისათვის კუთხური კოლორიტის მისანიჭებლად. დიახ, ესაა კლასიკური განმარტება ამ ტერმინისა, თუმცა, ჩემი აზრით, პროვინციალიზმმა დაკარგა ადგილთან კავშირი და კარგახანია, ადამიანთა მსოფლმხედველობის გამოხატულებად იქცა. ამ მსოფლმხედველობაში კი, უპირველესად, ჩამორჩენილობა და შეზღუდულობა იგულისხმება.

ოდნავ დიდი შესავალი კი გამომივიდა, მაგრამ ვფიქრობ, ეს ტერმინი აბსოლუტურად ზუსტად ესადაგება იმ ქმედებას, რასაც ბოლო წლებში ხაშურელი სკოლადამთავრებულები სჩადიან. რა თქმა უნდა, არც მიმდინარე წელი ყოფილა გამონაკლისი. გამონკლისი კი არა, პირიქით, მათ უფრო "დახვეწეს" და "გაამრავალფეროვნეს" ეს ქმედება.

"ბოლო ზარი" მართლაც უმნიშვნელოვანესი დღეა ნებისმიერი ადამიანის ცხოვრებაში. მთავრდება ბავშვობის ულამაზესი წლები. აწ უკვე ყოფილი

მოსწავლეები ეთხოვებიან მშობლიურ სკოლას, სადაც 12 წელი გაატარეს. ვინ უნდა იყოს წინააღდეგი, რომ ეს დღე ზეიმად აქციოს ყველამ-არც არა-

(დასასრული III გვერდზე)

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის საქმისწარმოების და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების ანგარიში 2019 წლის 5 თვის გაწეული საქმიანობის შესახებ

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეული **საქმისწარმოების და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება** თავის საქმიანობას ახორციელებს საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის, საჯარო სამსახურის შესახებ კანონის, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 4 დეკემბრის „ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების“ №37 დადგენილების, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 4 დეკემბრის „ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – ადმინისტრაციული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ №38 დადგენილების და სხვა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

განყოფილებაში არის 8 შტატი - განყოფილების ხელმძღვანელი, 6 მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი. 1 მესამე რანგის მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი.

მოგეხსენებათ, რომ, 2015-16 წლებიდან, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერია გადავიდა ელექტრონულ საქმისწარმოებაზე, ელექტრონული საქმისწარმოების უზრუნველყოფაში დღემდე მთლიანად ჩართულია ჩვენი განყოფილება, საქმისწარმოება მიმდინარეობს ორ ელექტრონულ დეს (დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა) და მმს (მუნიციპალიტეტის მართვის სისტემა) პროგრამებში.

2019 იანვარიდან 31 მაისის ჩათვლით, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოვიდა სულ 7524 კორესპონდენცია აქედან 1867 ელექტრონული გზით შემოსული ავტორიზებული წერილია. მოქალაქეთა მომსახურების ბიუროს მეშვეობით დარეგისტრირდა 2599 წერილი, 3058 განცხადება მათ შორის: 99 –კოლექტიური, 1155 – ჯანმრთელობის დაცვის პროგრამებთან დაკავშირებული, ხოლო 137– არქიტექტურულ საკითხებთან დაკავშირებული, 24 საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის შესახებ განცხადებები , ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მიერ თვითნებურად დაკავებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის“ კუთვნილი 166 განცხადება, მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსთან დაკავშირებით (სტატუსის მინიჭება/საინფორმაციო წერილი) 6-მა მოქალაქემ მოგვმართა განაცხადით. სულ გაიგზავნა 7100 წერილი აქედან 1617– საქართველოს ფოსტის მეშვეობით, ადმინისტრაციულ შენობაში გადასაადგილებლად მოქალაქეებზე გაიცა 3224 საშვი, მუნიციპალიტეტის მერთან მიღებაზე ჩაეწერა 229 ადამიანი.

იანვრის თვეში გამოცემულია 267-პ/შ ბრძანება:

ხელშეკრულება გაუგრძელდა 9 შტატგარეშე მოსამსახურეს, 1 შტატგარეშე მოსამსახურე გათავისუფლდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის გასვლის გამო, გაფორმდა ორი ახალი ხელშეკრულება, მათ შორის ერთი ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 17 იანვრის №2 განკარგულების -„ხაშურის მუნიციპალიტეტში 2019 წელს შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეთანხმების თაობაზე“ შესაბამისად .

გამოიცა 104 მივლინების ბრძანება, აქედან 55 – პროფესიული განვითარების საკითხებთან დაკავშირებით 93 – შვებულების ,22 ადამიანს კი აუნაზღაურდა საავადმყოფო ფურცელზე ყოფნის დღეები. 4 საჯარო მოხელე გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან პირადი განცხადების საფუძველზე.

საქართველოს მთავრობის 2017 წლის 28 აპრილის №220 “პროფესიული საჯარო მოხელის შეფასების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ” დადგენილების შესაბამისად, დამტკიცდა ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის პროფესიულ საჯარო მოხელეთა 2019 წლის შეფასების მეთოდი მერის ბრძანებით.

განყოფილების ხელმძღვანელი უძღვება მუნიციპალური მომსახურების ხარისხის თვითშეფასების პრაქტიკის დანერგვას, რომელიც, მნიშვნელოვანწილად, ეფუძნება თვითმმართველობაზე მორგებულ ხარისხის მართვის საერთაშორისო სტანდარტს - ISO 18091-2014 და საქალაქო სერვისების და ცხოვრების ხარისხის ინდიკატორებს დადგენილს ასევე საერთაშორისო სტანდარტის ISO 37120-ის მიხედვით. თვითშეფასება სახელმძღვანელოს მიხედვით ხდება, რომელიც შეიმუშავა კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრმა (CTC). პროცესი დაიწყო იანვარში და დასრულდება ივნისის ბოლოს.

2019 წლის 1 იანვრიდან, შემსყიდველი ორგანიზაციები და შესყიდვებში მონაწილეობის მსურველები/პრეტენდენტები/მიმწოდებლები „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების საფუძველზე, ვალდებულები არიან, სახელმწიფო შესყიდვებში ერთიან ელექტრონულ სისტემაში ასატვირთ ელექტრონულ დოკუმენტებზე შეასრულონ კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა ან/და ეს დოკუმენტები დაამოწმონ კვალიფიციური ელექტრონული შტამპით. კვალიფიციურ ხელმოწერის განხორციელებას, კოორდინირებას და ხელშეწყობას აქტიურად უზრუნველყოფს განყოფილება.

საქართველოს კანონის “საჯარო სამსახურის შესახებ “ 28-ე მუხლის და „საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 აპრილის №204 დადგენილების საფუძველზე, დამტკიცდა ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ზედამხედველობის სამსახურის ხელმძღვანელის, ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის - მერის წარმომადგენლების საქმიანობის კოორდინაციის განყოფილების მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის, ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის - საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების მესამე რანგის მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის და მერის წარმომადგენელი დაბა სურამის ადმინისტრაციულ ერთეულში - მეოთხე რანგის მეორე კატეგორიის უმცროსი სპეციალისტის ვაკანტურ პოზიციებზე დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები.

2019 წლის 21 მაისს, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით, დამტკიცდა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები: ზედამხედველობის სამსახურის მესამე რანგის მეორე კატეგორიის, ზედამხედველობის სამსახურის მესამე რანგის მესამე კატეგორიის , დ.სურამის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლის მეოთხე რანგის მეორე კატეგორიის უმცროსი სპეციალისტის და ცოცხნარის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლის მეოთხე რანგის მეორე კატეგორიის უმცროსი სპეციალისტის თამამდებობებზე. ამ ეტაპისთვის 138 საშტატო ერთეულიდან 6 წარმოადგენს ვაკანტურ თანამდებობას.

განყოფილება მუშაობას აგრძელებს აქტიურ რეჟიმში და მისი ყველა თანამშრომელი მომავალშიც მზად არის თავი გაართვას მასზე კანონმდებლობით დაკისრებულ ამოცანებს.

თათია ბროლიძე,
ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის საქმისწარმოების
და ადამიანური რესურსების მართვის
განყოფილების ხელმძღვანელი

„ევროპის დღეების” დასკვნით ღონისძიებას არტ-ვილა გარიყულამ უმასპინძლა

„ევროპის დღეები 2019”-ის დახურვის ღონისძიება „მე-ევროპელი” კასპის მუნიციპალიტეტში მდებარე არტ-ვილა გარიყულაში მოეწყო. ღონისძიებას შიდა ქართლის ოთხივე მუნიციპლაიტეტში მცხოვრები უფროსკლასელები და სტუდენტები დაესწრნენ. შეხვედრა შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებულმა გიორგი ხოჯევანიშვილმა გახსნა და ახალგაზრდებს ევროპა-საქართველოს პარტნიორობასა და განათლების მნიშვნელობაზე ესაუბრა. ხაზი გაუსვა განათლების სფეროში არსებულ შესაძლებლობებს და შეკრებილებს ამ მიმართულების კიდევ უფრო მეტი აქტიურობისკენ მოუწოდა.

ღონისძიების მონაწილე ახალგაზრდებს სიტყვით მიმართეს ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრის დირექტორმა ნინო ბოლქვაძემ და კასპის მაჟორიტარმა დეპუტატმა, პარლამენტის წევრმა ირაკლი მეზურნიშვილმა.

ღონისძიების ფარგლებში, მწერალმა, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალურმა დირექტორმა გიორგი კეკელიძემ ლექცია წაიკითხა საქართველოს ევროპულ გზაზე, საქართველოსა და ევროპის ურთიერთკავშირზე, ევროპულ ღირებულებებზე, კულტურულ მრავალფეროვნებასა და განათლების მნიშვნელობაზე. შეხვედრის ბოლოს, ახალგაზრდებმა მათთვის საინტერესო შეკითხვები დასვეს, რაზეც ამომწურავი პასუხები მიიღეს.

ღონისძება პოსტერების კონკურსის „საქართველოს ევროპული გზა“ გამარჯვებულის დაჯილდოებით დასრულდა.

- ვუბრუნდებით დაბეჭდილს -

პროვინციალიზმის "კლასიკა", რომელსაც თინეიჯერულად ქაჯობა ჰქვია

(დასასრული)

ვინ! მაგრამ ხაშურელ მოსწავლეებს სხვა "ტრადიცია" აქვთ-ზეიმი აუცილებლად კრიმინალთან მიახლოებული(თუ კრიმინალი არა) ქმედებით დაიწყონ-შემოსხდებიან მსუბუქი ავტომანქანების სახურავებზე, ან მანქანის ფანჯრებიდან მთელი ტორსით ჰაერში "გაფრენილები" მოემართებიან ქალაქის ცენტრისკენ, ავტომობილების გაბმული საყვირების თანხლებით და მთავარ მოედანთან პირდაპირ ავტოროდეოს აწყობენ. შეშინებული მოქალაქეები სად დაიმალონ, ვეღარ ხვდებიან. მხოლოდ ხეებს და სხვა საგნებს ამოფარებულნი იმზირებიან

და "მძიმე" ფრაზებს ისვრიან მათი მიმართულებით: "სად დაიზარდნენ", "რა ასწავლეს სკოლაში", "სადაა პატრული" და ა.შ. ოდნავ გონზე მოსულები კი უფალს შესთხოვენ, რომ ბავშვების ეს თავგასულობა კეთილად დამთავრდეს და ისინი მშვიდობით დაბრუნდნენ სახლებში. გასული წელი მაინც განსაკუთრებული იყო, ყველაფერ სიკეთესთან ერთად, უკვე ცეცხლსასროლი იარაღი გამოჩნდა "საქმეში". მე, პირადად შევესწარი, როდესაც ამ ავტოროდეოს დროს ერთ-ერთი მანქანიდან ტყვიების მთელი ჯერი შეასკდა ზეცას.

მე არ ვიცი, რა ხდება ამ დროს სხვა ქალაქებში, მაგრამ ვეჭვობ, მსგავსი სხვაგანაც ხდებოდეს. თუმცა, სურვილი მაქვს, სადღაც მაინც მეორდებოდეს, რადგან არ მინდა, დავიჯერო, რომ ეს მხოლოდ წმინდა ხაშურული მოვლენაა.

როგორც წესი, ამ დროს პედაგოგები ხელს იბანენ-ეს სკოლის გარეთ ხდება და ჩვენ არ გვეხებაო. საკითხისადმი ასეთი მიდგომაც არ მგონია სწორი. სწორედ სკოლის კედლებში უნდა განუმარტონ ბავშვებს, რომ ზემოხსენებული ქმედება კანონსაწინააღმდეგოა და თუ არ აკეთებენ ასეთ განმარტებებს, მაშინ მთელი პასუხისმგებლობა სწორედ სკოლაზე ყოფილა.

წინა წლებში, მთელ ქალაქს ახსოვს ასეთ დროს მომხდარი საშინელი ავარიები, მთელი ქალაქი გლოვობდა, როდესაც ერთ-ერთი ასეთი შემთხვევა, ფატალურად დასრულდა. აღარ უნდა ჰქონდეს დასასრული? ან რას გამოხატავენ ამით ბავშვები? დიახ, ჩვენ თავისუფალ ქვეყანაში ვცხოვრობთ, მაგრამ ზღვარგადასულობა თავისუფლებას სულაც არ ნიშნავს. ან რა დაამთავრეს ამისთანა, ჰარვარდი, მინესოტა თუ ოქსფორდი? დარწმუნებული ვარ, ავტოროდეოს მონაწილე ზოგიერთ მოსწავლეს საატესტატო გამოცდაც არ ექნება ჩაბარებული.

ჩვენი ქალაქი, რატომღაც, ხშირად გამხდარა მავანთა საქილიკო, რასაც, რა თქმა უნდა, ხაშური არ იმსახურებს და ეს ქილიკიც მათ სინდისზე იყოს, მაგრამ პროვინციალიზმის ასეთი გამოვლინებით გვინდა დავარწმუნოთ ისინი, რომ მათი შეხედულება მცდარია? დიახ, სწორედ პროვინციალიზმია ის, რაც ხაშურში "ბოლო ზარისას"ხდება, რადგან განათლებული და კარგად აღზრდილი მოქალაქე ამას არ გააკეთებდა.

ბოლოს კი მინდა, წლევანდელი მეთერთმეტე კლასელებს მივმართო, რომლებსაც გაისად უწევთ "ბოლო ზარი". ნუღარ გაიმეორებთ თქვენი "წინამორბე-

დის" ქმედებას. თავი დაანებეთ საზოგადოების ასეთ გამოწვევებს, პატივი ეცით თქვენ თავსაც, სკოლასაც, პედაგოგებსაც და ქალაქსაც. ბოლოს და ბოლოს დაიმახსოვრეთ, რომ ესაა პროვინციალიზმი, რომელსაც თქვენს, ანუ "თინეიჯერულ ენაზე" ქაჯობა ჰქვია!

* * *

ეს წერილი ჯერ კიდევ გასულ წელს დაიბეჭდა ჩვენს გაზეთში. მას შემდეგ მთელი წელი გავიდა. სიმართლე გითხრათ, იმედი, რომ ერთი წერილით შეიცვლებოდა სიტუაცია, არც გვქონია, მაგრამ ვერც ის წარმოგვედგინა, რომ ვითარება უფრო დამძიმდებოდა. არადა, დამძიმდა და მერე როგორ! მაისის შუა რიცხვებიდან, იშვიათი გამონაკლისების გარდა, ყველა სკოლის კურსდამთავრებულები თავს ვალდებულად თვლიან, ეს „უზენაესი დავალება" შეასრულონ და სკოლის დამთავრება, ქალაქის ცნტრში, ზეხულიგნობით(არ ვაჭარბებ ამ ტერმინში) აღნიშნონ. უფრო მეტიც-ახლა უკვე ორ-ორჯერ აკეთებენ-სკოლის დამთავრების შემდეგ და ბანკეტის წინ, თანაც უკვე „საქმეში" ახალი ტექნოლოგიებიც ჩართეს. ხოლოდ გაუთავებელი კაკაფონია-ავტომობილების ნახევარსაათიანი სიგნალებით ხმაური აღარ იკმარეს და ფერადი მაშხალებით იწყეს წრეების შემოვლა, რომელიც ისეთ საშინელ სუნს აყენებს, რომ უჭარო ამინდში საათებია საჭირო. რათა ეს სუნი მოშორდეს ქალაქის ცენტს. პისტოლეტიდან სროლაც ჩვეულებრივი მოვლენა გახდა. მავანნი ამბობენ, რომ ეს ფუჭი, ერთგვარი სპორტული ტყვიებია, მაგრამ არ გვგონია, ესეც ჯდებოდეს კანონის ფარგლებში. ანდა, ვიცით კი დანამდვილებით, რომ ეს ფუჭი ტყვიებია? წელს, მადლობა უფალს, რაიმე უბედური შემთხვევა არ მომხდარა, მაგრამ ყოველთვის ასეთი მოწყალე იქნება უფალი? წამიერი შემთხვევა და მთელი ტორსით მანქანის ფანჯრებიდან გადმოკიდებული მოზარდი შეიძლება ბორბლების ქვეშ აღმოჩნდეს. მოკლედ, ეს საშინელება უნდა დამთავრდეს! სკოლების დირექციები პასუხისმგებლობებს არ იღებენ-ბავშვების სკოლისგარე მოქმედება ჩვენ არ გვეხებაო... მაგრამ არც ასე უნდა იყოს საქმე. აქ აღზრდის დეფიციტთან მივდივართ, არა გვგონია ამ ბავშვებს პედაგოგებმა კარგად აუხსნან, რომ ასეთი ქმედება კანონის დარღვევაა, თანაც სისხლის სამართლის, რომელიც დასჯადია და მათ მაინც გააკეთონ იგივე. არც მშობლებთან საუბარი იქნება ურიგო, მანქანის საჭესთან რომ სხედან და უაზროდ გაღიმებულები ხელს უწყობენ შვილების თავგასულობას. საქმეში ალბათ განათლების რესურსცენტრიც უნდა ჩაერთოს, რომელმაც ყოველი სასწავლო წლის ბოლოს, მკაცრად მოთხოვოს ყველა სკოლის დირექციას, რომ ასეთი საუბრები შედგეს. ბოლოს კი საპატრულო პოლიციამაც უნდა თქვას თავისი სიტყვა და გვაჩვენოს ყველას, რომ კანონი ყველასთვის კანონია.

და ბოლოს, გვინდა დავიჯეროთ, რომ წერილი მსგავს თემაზე აღარ დაიწერება და ეს ბოლო სტატიაც ქმედით პრევენციად იქცევა, თუმცა, ჩვენს გადაჭარბებულ ოპტიმიზმს რა ვუთხარი და, გასულ წელსაც ასე გვჯეროდა...

გოგი გოგოლაძე

ხაშურში, თევდორე მღვდლის ქუჩაზე, სანიაღვრე არხის მოწყობის პროექტი ხორციელდება

მიმდინარე სამუშაოები ადგილზე დაათვალიერეს ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა გიორგი გურასპაშვილმა, მერის მოადგილე ზურაბ როსებაშვილმა, ეკონომიკის სამსახურის უფროსმა სერგო ლალიაშვილმა და ინფრასტრუქტურის განყოფილების უფროსმა გიორგი პაპიაშვილმა.

მათი განმარტებით, აღნიშნული პროექტის ფარგლებში, ასევე მიმდინარეობს დაბა სურამში, პუშკინის ქუჩაზე სანიაღვრე არხის მოწყობა. ღონისძიებები შესაძლო სტიქიის პრევენციისთვის მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენს. მთლიანად პროექტის ჯამური ღირებულება 49 282 ლარს შეადგენს და ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება.

(გაგრძელება. დასაწყისი იხ „ხმ“ #5, 6, 7, 9, 11,12,14,15,16,17,18,19,20,21,22)

ხაშურის მუნიციპალიტეტის ისტორია ტოპონიმებში

1728 წლის 14 აგვისტოს, ერთ-ერთი დოკუმენტის მიხედვით, ათმა ძმამ სარმანიშვილმა თავისი ვენახი ტაშისკარში ანუკა ბატონიშვილსა და მის შვილებს მიჰყიდეს. „... ნასყიდობის წიგნი და სიგელი დაგიწერეთ და მოგართვით ჩვენ, სარმანიშვილებმა ლევან, მოსემ, ზურაბ, იგდარ, საამ, როსტომ, უთრუთ, ლომიმ, გიორგიმ, იორამ, შვილმა და მამავალთა სახლისა ჩვენისამა თქვენ, ბატონიშვილს, ბატონს ანუკას, შვილთა თქვენთა პაატასა, ლევანს, ნიკოლოზს, შვილთა და მამავალთა სახლისა თქვენისათა მას ჟამსა, ოდეს დაგვეჭირა და მოგყიდეთ ჩვენი ალალი სამკვიდრო ვენახი ტაშისკარს, ყოვლის კაცის უცილობელი, ზეით ავალიშვილის ქაიხოსროს მიდგმამდი, ქვეით ბოლოს ისრევ ჩვენის მიწის მიდგმამდი, აქეთ გვერდი შარამდი, იქით გვერდი იონჩაძის ხუცის ვენახის მიდგმამდი“.

როგორც ამ დოკუმენტიდან ჩანს, სარმანიშვილები არა მარტო სარმანიშვილისკარში, არამედ მდ. მტკვრის მარცხენა მხარესაც, კერძოდ, ტაშისკარშიც ფლობენ მამულს.

იოანე ბატონიშვილი, ქართლ-კახეთის აღწერაში, ხეობის სოფლებში მოიხსენიებს სარმანიშვილის კარს. ამ დროს (XVIII ს-ის 90-იანი წლები) აქ მოსახლეობა არ ჩანს და მისი ხელმეორედ დასახლება XIX საუკუნიდან ხდება.

XIX ს-ის დასაწყისში, სარმანიშვილების მამული მთლიანად ქვიშხეთელი აბაშიძეების ხელშია. 1802 წლის ახლოს, აბაშიძის ქვრივი უჩივის თავის მაზლებს – სვიმონ და გიორგი აბაშიძეებს მამულის თაობაზე. საჩივარში აბაშიძის ქვრივი მოიხსენიებს თავის მამამთილს – ნიკოლოზ აბაშიძეს, რომელიც ის ნიკოლოზ აბაშიძე უნდა იყოს, რომელიც ზემოთ მოტანილ 1728 წლის საბუთშია მოხსენიებული ანუკა ბატონიშვილის შვილად.

„სარმანიშვილის მამული იყიდა ჩემმა მეუღლემ საკუთარის თეთრით“– აღნიშნავს საჩივარში აბაშიძის ქვრივი. როგორც ჩანს, აბაშიძეებს 1728 წლის შემდეგაც შეუძენიათ სარმანიშვილების მამულის დარჩენილი ნაწილი.

XIX საუკუნეში აქ სარმანიშვილები აღარ ჩანან.

1886 წლის აღწერით, აქ 26 კომლი მოსახლეა (90 კაცი და 78 ქალი, სულ 168 კაცი), რომლებიც გადმოსულები არიან დასავლეთ საქართველოდან – იმერეთიდან. ეროვნული შემადგენლობა მთლიანად ქართულია.

XX ს-ის 30-იანი წლებიდან, სარმანიშვილისკარს რვა მარტსაც უწოდებდნენ.

აქ სახლობენ გვარები: გლუნჩაძე, გოგოლაძე, კახნიაშვილი, ლომიძე, მჭედლიშვილი, სილაძე, ტაბატაძე, ტალახაძე, შუბითიძე, ხუჭიაშვილი...

სარმანიშვილისკარი, როგორც ჩანს, საკმაოდ დაწინაურებულია ადრე შუა საუკუნეებში და შემდგომ პერიოდშიც. ამაზე მიგვანიშნებს აქ შემორჩენილი მატერიალური კულტურის ძეგლები. განსაკუთრებით საყურადღებოა იოანე ნათლისმცემლის ეკლესია, რომელიც სოფლიდან სამხრეთით, ხეობის სიღრმეში – ნასახტრის მინდორზე მდებარობს. თავად სოფელში შემორჩენილია ღვთისმშობლის ეკლესია, ხოლო სარმანიშვილის - ხევის სათავეში ნაეკლესიარი და ნასახლარები.

სარტყელა – ნასოფლარი თრიალეთის ქედის ჩრდილოეთ კალთაზე. ზ.დ. 880 მ. ხაშურიდან დაშორებულია 17 კმ-ით. მდებარეობს ხალების სასოფლო საკრებულოს ტერიტორიაზე.

ვახუშტი და იოანე ბატონიშვილები სარტყელას არ იცნობენ, არც სხვა ისტორიულ და ეკონომიკური ხასიათის დოკუმენტებში გვხვდება.

შედიოდა ისტორიულ საციციანოში.

1886 წლის აღწერით, აქ 7 კომლი მოსახლეა (36 კაცი და 36 ქალი, სულ 72 კაცი). მოსახლეობა, ეროვნული შემადგენლობის თვალსაზრისით, მთლიანად ქართულია და გადმოსულები არიან დასავლეთ საქართველოდან.

1925 წელს სარტყელაში არის 22 კომლი. ამ დროს აქ სახლობენ გვარები: გოგალაძე (4) გელაშვილი (1), ტაბატაძე (8) და გობოზაშვილი (9). ეს გვარები სოფელს ბოლომდე შემორჩნენ.

გავრცელებული თქმულების მიხედვით, ქართველთა ლაშქარი, გიორგი სააკაძის სარდლობით, აქ გარს სარტყელივით შემორტყმია შემოსეულ ყირიმელ თათრებს. ქართველებს უძლეევიათ მტერი. დამარცხებული თათრები სოფელ რბონასთან მისულან და მტკვრის მარცხენა სანაპიროზე გადასულან. აქ კი, ნახვეტრების მინდორზე, სასტიკად გაანადგურეს მომხდურები ქართველებმა. ამ ბრძოლის აღსანიშნავად სოფელსათვის სარტყელა დაურქმევიათ.

სახელწოდება ნაწარმოებია -ა სუფიქსით, ფუძეა - „სარტყელ“.

სატივე – სოფელი, მდებარეობს შიდა ქართლის ვაკეზე, მდ. სურამულას აუზში. ზ.დ. 750 მ. ხაშურიდან დაშორებულია 16 კმ-ით, გომიდან (უახლოესი რკინიგზის სადგური) 5 კმ-ით. შედის გომის სასოფლო საკრებულოში. დიდი და პატარა სატივის ძველი სახელწოდება. დიდი სატივე მდებარეობს მდ. სურამულას მარცხენა მხარეს, ხოლო პატარა სატივე - მარჯვენა მხარეს.

სახელწოდება მომდინარეობს ტივისაგან. გადმოცემით, აქ ტივების სადგომი ადგილი - სატივე ყოფილა, რომელიც შემდგომ სოფლის სახელწოდებადაც ქცეულა. არის ვარაუდი იმის შესახებაც, რომ მდ. მტკვრის ერთ-ერთი ტოტი სწორედ სატივესთან გადიოდა (ამაზე მიგვანიშნებს ვახუშტი ბატონიშვილიც თავის რუკაზე). მდ. მტკვარი კი, როგორც ცნობილია, გამოიყენებოდა ტივების გადასაადგილებლად. ამდენად, გამორიცხული არ არის, რომ სოფლის სახელწოდება ტივიდან მომდინარეობდეს.

სატივეს იცნობს ვახუშტი ბატონიშვილი. იოანე ბატონიშვილი სურამისწყლის ხეობის აღწერისას აფიქსირებს მას. ქართულ ისტორიულ და ეკონომიკური ხასიათის ძეგლებშიც ხშირად გვხვდება.

თავდაპირველად სატივე, როგორც ჩანს, ამირეჯიბების მამულია, რომელიც შემდგომ დავითიშვილების ხელში გადავიდა. ერთ-ერთ დოკუმენტში ნათქვამია: „... სოფელი სატივე, ამირეჯიბებისაგან ნასისხლი“.

როდის გადავიდა სატივე დავითიშვილების ხელში უცნობია, მაგრამ XVII საუკუნის 30-იანი წლებისათვის იგი რომ მათი კუთვნილებაა, არაერთი დოკუმენტით დასტურდება. როსტომ მეფის 1634 წლის 23 ოქტომბრის გადაწყვეტილების წიგნში დავით და რამაზ დავითიშვილების მამულის საქმეზე აღნიშნულია, „რომ გამოიფიცა დავით და გამოიტანა ფიცითა... სოფელი სატივე...“ როგორც ამ დოკუმენტით ირკვევა, სატივეზე დავა ჰქონდათ დავით და რამაზ დავითიშვილებს. ეს უკანასკნელი დავითის ძმისწულია. მათ შთამომავლობას შემდგომშიც აქვთ დავა სატივეზე.

ზემო ქართლის XVII–XVIII საუკუნეების მოსახლეობის აღწერის არაერთ დავთარში აღწერილია სატივეც.

XVII საუკუნის დამდეგით დათარიღებული დავთრის მიხედვით, აქ 25 კომლი სახლობს (გელაშვილი, დანბაშიძე (2), ხუციშვილი (2), სარაჯი, ქიტნაშვილი, გელიაშვილი, ქურციკაშვილი, პაპაშვილი, ბოჭორაძე, კიტრაძე, ნოზაძე (2), შუნბითიძე (2)... აქვეა ჩამოთვლილი სატივიდან აყრილ კომლთა გვარები: დანბაშიძე, ხუციშვილი (2), ქურციკაშვილი, ნაზაძე, პაპნიასშვილი...).

XVII საუკუნის მეორე ნახევრის დავთარში შეტანილია 14 კომლი ქიტუნაშვილი, სარაჯი, კალოველი, კოჭლაშვილი, ბაღდასშვილი, ძამიასშვილი, წიწაკაშვილი, ოსაძე, ოდაძე, ლომაურიძე, მანაგაძე...).

1715 წლის რუისის სამწყსოს დავთარში სატივიდან დაფიქსირებულია 12 კომლი (ქურციკაშვილი, ნადირაშვილი, ღამბაშიძე (3), ხუციშვილი, შუბითიძე, ნოზაძე (2), ბოჭორაძე, ოსაძე...). დავთარში აღნიშნულია, რომ სატივეში აყრილი ბევრია.

სატივეში 1728 წელს 15 კომლია, რომელთა საოსმალო გადასახდი 6910 ახჩას შეადგენდა.

XVIII საუკუნის 50-იან წლებში, ლეკთა ხშირი შემოსევების შედეგად, სატივე, როგორც სოფელი მთლიანად მოიშალა. 1761 წლის 19 თებერვალს ზაალ დავითიშვილი სატივის შესახებ ერეკლე II-ეს წერდა: „... ჩვენს მამულში ცეცხლი აღარ ანთია, აღარც ყმა დაგვრჩომია, რაც ლეკს მოურჩა, დაიფანტნენ“.

ამავე პერიოდიდან სატივე ციციშვილების ხელში გადავიდა.

როგორც ირკვევა, სამეფო კარისაგან გარკვეული ღონისძიებები გატარებულა სატივის ასადორძინებლად, მაგრამ აქ ხელმეორედ დასახლებული გლეხებიც ხშირად გამხდარან ლეკთა შემოსევების მსხვერპლნი. 1764 წლის 24 ნოემბრის დიმიტრი (ციციშვილი) ნაზირის არზაში ერეკლე II-ისადმი, ნათქვამია: „ახლაც აჯიაშვილი და 8 გლეხი კაცი ლეკისაგან დაკარგულან“. იმდენად გართულებული ყოფილა მდგომარეობა, რომ მას სატივეში თავისი მსახურები დაუყენებია, რათა სოფელში დარჩენილი გლეხებიც არ დაფანტულიყვნენ. „... მიდით, სატივეს დადექით, მანამდე ხემწიფეს მოვახსენო, ვინც დარჩომილან, ისინიც და ქვრივ-ობლები არ დაიფანტნონ მეთქი“.

დიმიტრი სთხოვს სამეფო კარს, რომ სატივის მიმართ გარკვეული შეღავათები განხორციელდეს, კერძოდ, ვინც აქ დადგებოდა გათავისუფლებულიყო სურსათის გადასახადისა და მორიგე ჯარში სამსახურისაგან. „თუ თქვენი წყალობა არ დაემართათ რა, და ერთი იმედიანი ოქმი არ უბოძეთ, იმათი გაძლება არ იქნება“–ნათქვამია არზაში. დიმიტრი აქვე მიუთითებს, რომ სატივეში „... მემკვიდრე ბინიანი კაცი არავინ არის. სულ მოგროვილ-მოგროვილი კაცნი შემიპყრია და ისინი დგანან“.

სამეფო კარმა შესაბამისი ღონისძიებები გაატარა სატივის აღსადგენად. ეს კარგად ჩანს დოკუმენტზე ერეკლეს მიერ გაკეთებული წარწერიდან, რომელშიც ნათქვამია: „ჩვენი ბძანება არის, ვინც სატივეს დგახართ! მერმე თქვენი მორიგე და სურსათი გვიპატივებია. თქვენ მანდაურობაზე გულს ნუ გამოიცვლით. მანდავ მართებულათ უნდა იდგეთ... ნაზირისთვისაც გვითქვამს, თქვენს ყოვლისფრის ხელს მოგიმართავსთ. ჩვენც ყურს მოგიგდებთ. თქვენ ძალასა და უსამართლოს ვერავინ გიზამთ. ღმერთმა ნუ ქნას, თუ დაგჭირდებათ ჯარს მოგახმარებთ“.

სამეფო ხელისუფლების მხრიდან სატივის მიმართ გატარებულმა ასეთმა სერიოზულმა ღონისძიებებმა თავისი შედეგი გამოიღო. უკვე, 1766 წლის 8 სექტემბერის ერთ-ერთ დოკუმენტში ნათქვამია: „...რა სატივე აშენდა“...

გერმანელი მეცნიერი ი.ა. გულდენშტედტი, რომელიც 1771-1772 წლებში მოგზაურობდა საქართველოში, თავის ნაშრომში რამდენჯერმე მოიხსენიებს სოფელ სატივეს, ორჯერ აღნიშნავს, რომ სატივე ციხეა. „მოხისი და სატივე, ორივე ციხეებია“. მდ. სურამულას ხეობის აღწერის დროს კვლავ ასახელებს სატივეს, როგორც ციხეს – „ციხე სატივე“.

რას ემყარება ი. გულდენშტედტი, როცა სატივეს ციხედ მოიხსენიებს, სხვა დოკუმენტებში ვერ მივაკვლიეთ, არც სატივეშია რაიმე კვალი შემორჩენილი, თუნდაც ნანგრევების სახით. ამ მხარეში ციხე მხოლოდ ოსიაურში გვხდება. თუმცა, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ სატივე ლეკების გამუდმებული თავდასხმების ობიექტია, არც ის არის გასაკვირი, რომ აქ, თუნდაც პატარა მოცულობის ციხე მდგარიყო გიულდენშტედტის დროს.

XVIII ს-ის ბოლოს სატივე ისევ ბაგრატიონ - დავითიშვილების ხელშია.

სატივეში, 1865 წელს, 23 კომლი მოსახლეა (20 სახელმწიფო და 3 დროებით ვალდებული). 1886 წლის აღწერით კი, აქ 36 კომლი სახლობს (126 კაცი და 97 ქალი, სულ 223 კაცი), რომლებიც ეროვნული შემადგენლობის თვალსაზრისით, მთლიანად ქართველები არიან.

სატივეში სახლობენ გვარები: ბადრიაშვილი, განჯელაშვილი, გელაშვილი, გოგოლაძე, გოგნიაშვილი, დარსაველიძე, ელიბოშვილი, ვარდაშოვი, თედელური, კილასონიძე, კურტანიძე, ლაცაბიძე, ნასყიდაშვილი, ნოზაძე, ოსაძე, რაზმაძე, რიკაძე, სეფისკვერაძე, ფილიშვილი, ფხიკიძე, ქურდაძე, ღონღაძე, ჯანბაზიშვილი (დიდი სატივე), აბრამაშვილი, არევაძე, გოგიჩაიშვილი, კვინიკაძე, კობახიძე, მაჭარაშვილი, მჭედლიძე, ნასყიდაშვილი, ტაბატაძე, ფარასტაშვილი, ხაჩიძე, ჯიოშვილი (პატარა სატივე).

სახელწოდება დანიშნულების სახელისგანაა მიღებული სა-ე თავსართ-ბოლოსართის საშუალებით.

სატივეში მდებარეობს წმ. სამების ეკლე

სია (დიდი სატივე), რომელიც XIX საუკუნეშია აგებული.

თ. ლაცაბიძე

(გაგრძელება იქნება)

სასკოლო ექსკურსიებთან დაკავშირებით ორგანიზატორებისთვის რეგულაციები გამკაცრდა და ინდივიდუალური ადმინისტრაციული აქტით დარეგულირდა

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ინიციატივით, სასკოლო ექსკურსიებთან დაკავშირებით ორგანიზატორებისთვის რეგულაციები გამკაცრდა და ინდივიდუალური ადმინისტრაციული აქტით დარეგულირდა ექსკურსიებში მონაწილე მხარეების უფლება-მოვალეობები და პასუხისმგებლობები. ამის შესახებ ინფორმაციას განათლების სამინისტრო ავრცელებს.

ახალი მიდგომით, სკოლას დაევალა გადამყვანი კომპანიისგან/ფიზიკური პირისგან მოითხოვოს მძღოლის კვალიფიკაციისა და ავტომანქანის ტექნიკური გამართულობის დამადასტურებელი დოკუმენტები. სკოლის დირექცია დაგეგმილი ექსკურსიის თარიღის, ლოკაციის, აქტივობების, მონაწილე არასრულწლოვანი და სრულწლოვანი პირების შესახებ სრულად უნდა იყოს ინფორმირებული. ექსკურსიის ორგანიზატორი/ხელმძღვანელი შესაძლოა იყოს მოსწავლის წარმომადგენელი,

მასწავლებელი ან სკოლაში დასაქმებული სხვა პირი;

ექსკურსიის ხელმძღვანელს სრულყოფილად უნდა ჰქონდეს მონაწილე მოსწავლეებისა და მშობლების მონაცემები, მათ შორის, ინფორმაცია მონაწილე მოსწავლის სპეციალური საჭიროებების შესახებ. აუცილებელია ჯგუფის შემადგენლობაში შედიოდეს სრულწლოვანი პირი, რომელსაც პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის უნარ-ჩვევა ექნება. ბავშვების კვების მიზნით საკვები პროდუქტების ტრანსპორტირება უნდა ხორციელდებოდეს სანიტარული პირობების დაცვით. ექსკურსიის განხორციელების წესის დაცვა სავალდებულოა როგორც სკოლის, ასევე, მშობლების მიერ სასკოლო დროს ორგანიზებულ ექსკურსიებზე. აღნიშნული წესის დარღვევისას გათვალისწინებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით პასუხისმგებლობა.

“აღნიშნული წესი უკვე დაეგზავნა ყველა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას და სამინისტრო მოუწოდებს ყველა საჯარო და კერძო სკოლას, რომ აღნიშნული აქტის ყველა მუხლი ზედმიწევნით დაიცვან.

აქვე აღვნიშნავთ, რომ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან ერთად ჯერ კიდევ 2016 წელს შეიმუშავა ექსკურსიების ორგანიზებასთან დაკავშირებული რეკომენდაცია, რაც ასევე სავალდებულო იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის, თუმცა, არ ვრცელდებოდა მშობლების მიერ სასკოლო დროს ორგანიზებულ ექსკურსიებზე.

იხილეთ ინდივიდუალური ადმინისტრაციული აქტი:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მოსწავლეთა ექსკურსიების განხორციელების წესი

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მოსწავლეთა ექსკურსიების განხორციელებისწესი (შემდგომ-წესი) განსაზღვრავს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მოსწავლეთა ექსკურსიების დაგეგმვის, განხორციელების, აგრეთვე მოსწავლეების, მათი წარმომადგენლების, მასწავლებლების და ექსკურსიის განხორციელებაში მონაწილე პირთა უფლება-მოვალეობებს და პასუხისმგებლობებს.

2. ეს წესი ვრცელდება სკოლისა და მშობლების მიერ სასკოლო დროს ორგანიზებულ ექსკურსიებზე.

3. წესში გამოყენებულ ტერმინებს ამ წესის მიზნებისთვის აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) ექსკურსია - სკოლის მიერ გასართობი, შემეცნებითი-სასწავლო მიზნებისათვის სასკოლო დროს განხორციელებული აქტივობა, რომელიც მოიცავს მოსწავლეთა, მოსწავლის წარმომადგენელთა და მასწავლებელთა ტრანსპორტით გადაადგილებას მათ მიერ განსაზღვრულ ლოკაციაზე კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

ბ) ექსკურსიის ორგანიზატორი - სრულწლოვანი პირი, რომელიც ორგანიზებას უწევს ექსკურსიას. ორგანიზატორი შესაძლებელია იყოს მოსწავლის წარმომადგენელი, მასწავლებელი ან სკოლაში დასაქმებული სხვა პირი;

გ) ექსკურსიის ხელმძღვანელი - სრულწლოვანი პირი, რომელიც უშუალოდ მონაწილეობს კონკრეტულ ექსკურსიაში და პასუხისმგებელია მგზავრობის პროცესში და ექსკურსიის ლოკაციაზე მოსწავლეთა უსაფრთხოებაზე. ექსკურსიის ხელმძღვანელი შესაძლებელია ამავდროულად იყოს ექსკურსიის ორგანიზატორი;

დ) მოსწავლე - პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ირიცხება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში;

ე) მოსწავლის წარმომადგენელი - მშობელი, მეურვე ან სხვა კანონიერი წარმომადგენელი;

ვ) სასკოლო დრო - სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული პროცესის, აგრეთვე სკოლის მიერ ინიცირებული, ორგანიზებული, კონტროლირებული, დაფინანსებული ნებისმიერი ღონისძიების მიმდინარეობის დრო.

4. წესში გამოყენებულ სხვა ტერმინებს აქვს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული მნიშვნელობა.

მუხლი 2. ექსკურსიის ორგანიზატორისა და ხელმძღვანელის მოვალეობები

1. ექსკურსიის ორგანიზატორი/ხელმძღვანელი პასუხისმგებელია მგზავრობის პროცესში და ექსკურსიის ლოკაციაზე მოსწავლეთა უსაფრთხოებაზე, რისთვისაც იგი გამოითხოვს და სკოლის დირექტორს/დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს ექსკურსიამდე არანაკლებ 10 დღით ადრე წარუდგენს ტრანსპორტის გამართულობის დამადასტურებელ დოკუმენტს, მძღოლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტისა და შესაბამისი კატეგორიის ავტომანქანის მართვის უფლების დამადასტურებელი მოწმობის ასლს, ინფორმაციას ექსკურსიის მიზნების, დაგეგმილი აქტივობების, მონაწილე პირების (მათ შორის, მცირეწლოვნების), პასუხისმგებელი პირების, ექსკურსიის თარიღისა და ლოკაციის შესახებ.

2. სკოლის დირექტორი/დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი განიხილავს წარდგენილ ინფორმაციას/დოკუმენტებს და იღებს გადაწყვეტილებას ექსკურსიის განხორციელების შესახებ გონივრულ ვადაში.

3. ექსკურსიის ორგანიზატორი ვალდებულია მოსწავლეს, მის წარმომადგენელს და ექსკურსიაში მონაწილე სხვა პირებს მიაწოდოს სრულყოფილი ინფორმაცია ექსკურსიის თარიღის, ლოკაციის, დაგეგმილ ღონისძიებათა მიზნების, აქტივობების და მონაწილე და პასუხისმგებელი პირების შესახებ.

4. ექსკურსიის ორგანიზატორს უნდა ჰქონდეს მოსწავლის მშობლის წერილობითი თანხმობა ექსკურსიაში მოსწავლის მონაწილეობის შესახებ, თუ მოსწავლის წარმომადგენელი არ ახლავს მას ექსკურსიაზე.

5. ექსკურსიაში მონაწილე სრულწლოვან პირთა შორის უნდა იყოს სულ მცირე ერთი ქმედუნარიანი პირი, რომელსაც აქვს პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის უნარ-ჩვევები.

6. ექსკურსიის ხელმძღვანელს სრულყოფილად უნდა ჰქონდეს მონაწილე მოსწავლეებისა და მშობლების მონაცემები, მათ შორის, ინფორმაცია მონაწილე მოსწავლის სპეციალური საჭიროებების შესახებ.

მუხლი 3. ტრანსპორტირების წესი

1. მოსწავლეების, მშობლებისა და მასწავლებლების ექსკურსიაზე ტრასპორტირება უნდა განხორციელდეს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დაცვით, ფიზიკური ან იურიდიული პირის მიერ იმ სატრანსპორტო საშუალებით, რომელსაც გავლილი აქვს ტექდათვალიერება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. სატრანსპორტო საშუალებას უნდა მართავდეს შესაბამისი გამოცდილებისა და სათანადო კატეგორიის მართვის მოწმობის მქონე მძღოლი.

3. სატრანსპორტო საშუალებაში უნდა იყოს განთავსებული პირველადი სამედიცინო დახმარების ჩანთა.

4. მოსწავლეთა ტრანსპორტირებისას მათი კვების მიზნით საკვები პროდუქტების ტრანსპორტირება უნდა ხორციელდებოდეს სანიტარული პირობების დაცვით.

5. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე არასრულწლოვანთათვის ტრანსპორტირება უზრუნველყოფილი უნდა იყოს მათი საჭიროების გათვალისწინებით.

მუხლი 4. პასუხისმგებლობა

ამ წესით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევა გამოიწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით“, - აღნიშნულია ინფორმაციაში.

ნამდვილი მწერალი, სწორედ პედაგოგია, რადგან იგი სიყვარულს ასწავლის მკითხველს და ჰუმანისტად ზრდის მას

ხაშურის მუნიციპალიტეტის სამუზეუმო გაერთიანების დირექტორის მოადგილეს სამეცნიერო დარგში, გორის სახელმწიფოს უნივერსიტეტის მიწვეულ პროფესორს, მწერალს, პოეტს და ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს მურად მთვარელიძეს, საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიამ და სოხუმის უნივერიტეტმა შეხვედრა მოუწყო. შეხვედრას ესწრებოდნენ განათლების მეცნიერებათა აკადემიის წევრები, უნივერსიტეტის პროფესორ მასწავლებლები და სტუდენტები. შეხვედრას უძღვებოდა პედაგოგიკის დოქტორი და პროფესორი ლუბა ბიბილეიშვილი, რომელმაც ისაუბრა მურად მთვარელიძის როგორც საზოგადო, ასევე მის შემოქმედებასა და



სამეცნიერო მოღვაწეობაზე, ხასგასმით აღნიშნა მის მიერ შესანიშნავად ორგანიზებული სამეცნიერო კონფერენციები თუ სხვადასხვა ღონისძიებები.

იუბილარისადმი განსაკუთრებული პატივისცემა და სიყვარული გამოამჟღავნეს სიტყვით გამომსვლელებმა: სოხუმის უნივერსიტეტის დოქტორანტმა მაია გელაშვილმა, მკვლევარმა, ახალციხის უნივერსიტეტის დოქტორანტმა თამაზ ლაცაბიძემ, პროფესორმა ავთანდილ ასათიანმა, მწერალმა მზია ხაჩიძემ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებმა, პოეტებმა: მაია წიქარიშვილმა და გიორგი ხულორდავამ. მურადს ექსპრომტი უძღვნა ჟურნალისტმა მაყვალა ხაჩიძემ.

შეხვედრაზე წაიკითხეს აკადიმიკოს ნათელა ვასაძის მიერ გამოგზავნილი მისალოცი წერილი იუბილარისადმი, სადაც ბატონ მურადს შემდეგნაირად მიმართავს: „მოგეხსენება, ადამიანს წლები არა მხოლოდ ასაკს მატებს, არა მხოლოდ ამძიმებს მის შინაგან სამყაროს, ამძაფრებს მის განცდებს, ემოციებს, არამედ ავალდებულებს უკან მოხედვის აუცილებლობას. ამ დროს მთავარია შენს ცხოვრებაში, საქმიანობაში შენს გვერდით მდგომ ადამიანთა სწორი შეფასება. ეს საკმაოდ ძნელია. თუმცა ამგვარ განსჯას თავისი ხიბლიც გააჩნია, როდესაც არა მხოლოდ ერთი თვალის გადავლებით, არამედ მუდმივთანხმლები სითბოთი და სიამაყით აფასებ თანამოაზრეს, თანამოსაქმეს, გულმართალ და გულდია პიროვნებას, ღირსეულ მამულიშვილს. ჩემი გაგებით, ჩემი შეფასებით, ასეთია ჩემთვის მურად მთვარელიძე – მწერალი, მეცნიერი, პროფესორი, ქართული განათლების განსაკუთრებული ამაგდარი.”

ბატონი მურადი, უმაღლესი განათლების მიღების შემდეგ, მშობლიურ ხაშურს დაუბრუნდა ქართულის მასწავლებლად, მიუხედავად იმისა, რომ შანსი ჰქონდა კათედრაზე ან სხვა სამეცნიერო დაწესებულებაში დარჩენილიყო. ძალიან მალე, შესანიშნავი პედაგოგი, რკინიგზის №6 სკოლის დირექტორად დააწინაურეს, შემდეგ კი რაიონის განათლების განყოფილების გამგე გახდა, მოგვიანებით – კი №9 საჯარო სკოლის დირექტორი. ამჟამად კი, ხაშურის მუნიციპალიტეტის სამუზეუმო გაერთიანების დირექტორის მოადგილეა სამეცნიერო დარგში და, პარალელურად, ლექციებს კითხულობს გორის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ფილოლოგიის ფაკულტეტზე. ამასთან, იგი არაერთი პოეტური კრებულის, პროზაულ ნაწარმოებთა ციკლის, ესეს თუ ლიტერატურათმცოდნეობითი ნაშრომის ავტორია.

„საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის მოამბეში” დაიბეჭდა პროფესორ ზურაბ ცუცქირიძის ბიოგრაფიული ნარკვევი ბატონ მურად მთვარელიძეზე, სადაც ვკითხულობთ: „ ნებისმიერი ჟანრის მისი ნაწარმოები გამსჭვალულია პატრიოტული სულისკვეთებით, მშობლიური მიწისა და ხალხის სიყვარულით. სამშობლოსადმი მისი ერთგულება და სიყვარული გადამდებია და მისი შემოქმედების ადრესატი სწორედ ახალგაზრდობაა, რომელსაც დღეს ასე სჭირდება ნამდვილი ლიტერატურა. აი. აგერ მიდევს მაგიდაზე მისი ბოლო პროზაული კრებული („ხციულასპირა ზღაპარ-არაკები”) და კიდევ ერთხელ ვრწმუნდებით: ნამდვილი მწერალი, სწორედ პედაგოგია, რადგან იგი სიყვარულს ასწავლის მკითხველს და ჰუმანისტად ზრდის მას.

თ. ახალკაცი

ცხადდება ლიტერატურული კონკურსი

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ რედაქცია აცხადებს ლიტერატურულ კონკურსს პოეზიაში. საკონკურსო მასალები მიიღება დევიზით: ერთი კონვერტით იგზავნება საკონკურსო მასალა, მეორე კონვერტით – ავტორის ვინაობა, მისამართი, საკონტაქტო ტელეფონი, ლექსების ჩამონათვალი (კონვერტზე არ უნდა მეთითოს ავტორის ვინაობა).

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია საქართველოსა და უცხოეთში მცხოვრებ ყველა მოქალაქეს, გარდა გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ რედაქციის თანამშრომლებისა, სარედაქციო საბჭოსა და ჟიურის წევრთა ოჯახის წევრებისა.

დაწესებულია პრემიები:

ორი პირველი პრემია – 1500-1500 ლარი – ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიისა და შპს „ნიალისაგან“;

მეორე პრემია – 700 ლარი – შპს „ნიალისაგან“;

სამი მესამე პრემია – 500-500 ლარი – სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მორფოლოგიის ინსტიტუტისა და შპს „ნიალისაგან“;

იმის გამო, რომ რესპუბლიკის მოსწავლე-ახალგაზრდობაში გაიზარდოს პოეზიისადმი ინტერესი, წელს, პირველად, მათთვის, დაწესებულია სამი წამახალისებელი პრემია:

პირველი პრემია – 500 ლარი;

მეორე პრემია – 400 ლარი;

მესამე პრემია – 300 ლარი.

სამივე პრემია დაწესებულია შპს „ნიალისაგან“.

კონკურსში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ყველა მოსწავლეს, გარდა დამამთავრებელი (მე-12) კლასისა.

გამარჯვებულების საზეიმო წარდგინება მოხდება სოფელ რუსთავში, ტრადიციულ „პოეზიის სახალხო დღესასწაულზე – შოთაობაზე“, ხოლო დაჯილდოების ცერემონიალი გაიმართება ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ამა წლის ოქტომბერში.

საკონკურსო ლექსები უნდა გამოიგზავნოს მხოლოდ ნაბეჭდი ფორმით, არაუმეტეს 5 ლექსისა. ხელნაწერი არ მიიღება.

საკონკურსო ლექსების მიღების ბოლო ვადაა 2019 წლის 1 სექტემბერი და იგზავნება შემდეგ მისამართზე:

0500, ასპინძის მუნიციპალიტეტი, დაბა ასპინძა, თამარის ქ.3.
გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ რედაქცია.
საკონტაქტო ტელ. 5 99 97 95 24

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა მერიის საბიუჯეტო სამსახურის უფროსი

მარინა გელაშვილი

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები და საკრებულოს თანამშრომლები, ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა მერიის საბიუჯეტო სამსახურის უფროსი

მარინა გელაშვილი

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიაში შემავალი ა(ა)იპ-ების თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა მერიის საბიუჯეტო სამსახურის უფროსი

მარინა გელაშვილი

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

გაზეთ-ის „ხაშურის მოამბე“ - რედაქციის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა მერიის საბიუჯეტო სამსახურის უფროსი

მარინა გელაშვილი

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი გიორგი გოგალაძე,
მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში. რედაქტორი რობერტ სუხიაშვილი.